პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

2024

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები *4*

მუხლი 1. რეგულირების სფერო **4**

მუხლი 2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები **4**

მუხლი 3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები **6**

თავი II. მონაცემები და მათი დამუშავების საფუძვლები *7*

მუხლი 4. ფილიალის მიერ დამუშავებული მონაცემები **7**

მუხლი 5. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები **8**

თავი III. მონაცემთა სუბიექტები და მონაცემთა მიღების წყაროები *10*

მუხლი 6. მონაცემთა სუბიექტები **10**

მუხლი 7. მონაცემთა მიღების წყაროები **10**

მუხლი 8. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის განსაკუთრებული წესი **11**

თავი IV. ვიდეომონიტორინგი *12*

მუხლი 9. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი **12**

მუხლი 10. ვიდეომონიტორინგის სამართლებრივი საფუძვლები **12**

მუხლი 11. გამჭვირვალობა და შეტყობინება **12**

მუხლი 12. ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა **13**

მუხლი 13. ვიდეოჩანაწერებზე წვდომა და უსაფრთხოება **13**

თავი V. მონაცემთა სუბიექტის უფლებები *13*

მუხლი 14. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება **13**

მუხლი 15. მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება **15**

მუხლი 16. მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება **16**

მუხლი 17. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება **17**

მუხლი 18. მონაცემთა დაბლოკვის უფლება **18**

მუხლი 19. მონაცემთა გადატანის უფლება **20**

მუხლი 20. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები **20**

მუხლი 21. თანხმობის გამოხმობის უფლება **21**

მუხლი 22. გასაჩივრების უფლება **21**

თავი VI. ფილიალის ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტების მიმართ *22*

მუხლი 23. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ვალდებულება 22

მუხლი 24. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში 22

მუხლი 25. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოს მისგან არ ხდება 24

თავი VII. მონაცემთა უსაფრთხოება 25

მუხლი 26. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება 25

მუხლი 27. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის შეტყობინება 26

მუხლი 28. ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვი შეტყობინების ვალდებულება 27

მუხლი 29. ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება 28

მუხლი 30. ფილიალის ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტისაგან თანხმობის მიღების და მის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში 29

თავი VIII. მონაცემებზე წვდომა 30

მუხლი 31. მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები 30

მუხლი 32. თანამშრომელთა შეზღუდული უფლებამოსილებები მონაცემთა დამუშავებისას 32

თავი IX. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი 32

მუხლი 33. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი 32

მუხლი 34. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებები და მოვალეობები ... 33

მუხლი 35. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვა 34

თავი X. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება 35

მუხლი 36. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების წესი 35

თავი XI. პასუხისმგებლობა დადგენილი რეგულაციების დარღვევისთვის 36

მუხლი 37. სტუდენტის პასუხისმგებლობა დადგენილი რეგულაციების დარღვევისთვის 36

მუხლი 38. თანამშრომლის პასუხისმგებლობა დადგენილი რეგულაციების დარღვევისთვის 37

თავი XII. დასკვნითი დებულებები 37

მუხლი 39. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი 37

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებისა და ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში (შემდგომში - ფილიალი) წესდების და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
2. ფილიალში პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესის და ვებსტერ უნივერსიტეტის ზოგადი პოლიტიკის (general policies) და კონფიდენციალურობის შეტყობინებების (privacy notices) შესაბამისად.
3. წინამდებარე წესი სავალდებულოა შესასრულებლად ფილიალში დასაქმებული ყველა პირისთვის.
4. წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული სამართლებრივი მნიშვნელობა.

მუხლი 2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები

1. ეს წესი ქმნის ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც აბალანსებს ფილიალის ლეგიტიმურ ინტერესებს პერსონალური მონაცემების აკადემიური მიზნებისთვის დამუშავებისას ინდივიდების უფლებებთან და თავისუფლებებთან მათი კონფიდენციალურობის დასაცავად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად, წინამდებარე წესის მიზანია:

2.1 *პერსონალური მონაცემების დაცვა:* რეგულაცია ადგენს სახელმძღვანელო პრინციპებსა და წესებს, თუ როგორ ხდება პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და გაცემა, რაც უზრუნველყოფს ინდივიდების მიერ საკუთარ პერსონალურ ინფორმაციაზე კონტროლს;

2.2 *გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა:* ფილიალი უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას მის მიერ აკადემიური მიზნებისთვის შეგროვებული მონაცემების შესახებ, კერძოდ, რატომ ხდება პერსონალური მონაცემების შეგროვება და როგორ ხდება მათი გამოყენება, აგრეთვე უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობას და ანგარიშვალდებულების დაცვას;

2.3 *მონაცემთა მინიმიზაცია:* ფილიალი აგროვებს მხოლოდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების მიზნებისთვის საჭირო პერსონალურ მონაცემებს და უზრუნველყოფს ამ მონაცემებზე წვდომას მხოლოდ ავტორიზებული პერსონალისთვის;

2.4 *უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა:* ფილიალი ახორციელებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, იცავს მათ არაავტორიზებული წვდომისგან, დაკარგვის ან ბოროტად გამოყენებისგან;

2.5 *მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვა:* ყველა პირს, რომელთა პერსონალური მონაცემები დაცულია ფილიალში, აქვს საკუთარი პერსონალური ინფორმაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, მათ შორის, ინფორმაციაზე წვდომის, შესწორების ან წაშლის უფლება, ასევე უფლება გააპროტესტონ გარკვეული სახის დამუშავება;

2.6 *მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა:* ფილიალი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე თანამშრომლების პერსონალური ინფორმაციის გადაცემას ვებსტერ უნივერსიტეტისთვის (დამფუძნებლისთვის) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების მიზნებისთვის.

მუხლი 3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები

1. ფილიალში მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

1.1 მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.2 მონაცემები დამუშავებულ უნდა იქნას მხოლოდ აკადემიური (საგანმანათლებლო და კვლევითი) მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების აკადემიურ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

1.3 მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აკადემიური (საგანმანათლებლო და კვლევითი) მიზნის მისაღწევად;

1.4 მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. აკადემიური მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

1.5 მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების აკადემიური მიზნის მისაღწევად;

1.6 მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას ფილიალი იღებს ისეთ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

2. ფილიალში მონაცემების დამუშავების დროს უზრუნველყოფილია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპების დაცვა.

თავი II. მონაცემები და მათი დამუშავების საფუძვლები

მუხლი 4. ფილიალის მიერ დამუშავებული მონაცემები

1. ფილიალი აკადემიური მიზნებისთვის აგროვებს და ამუშავებს სტუდენტების, პერსონალის და ფილიალთან დაკავშირებული სხვა პირების პერსონალურ მონაცემებს.

2. ფილიალი ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განსახორციელებლად, სტუდენტთა რეგისტრაციის, მათი აღრიცხვისა და აკადემიური შეფასებების, მობილობის პროცესის ადმინისტრირების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის, აგრეთვე პერსონალის შერჩევის და მათთან შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით.

3. ამ მუხლით დადგენილ პერსონალურ მონაცემებში იგულისხმება:

3.1 *საიდენტიფიკაციო ინფორმაცია:* ეს მოიცავს ძირითად პერსონალურ დეტალებს, როგორიცაა სახელი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, ეთნიკური კუთვნილება, მშობლიური ენა, საიდენტიფიკაციო ნომერი (მაგ., სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი);

3.2 *საკონტაქტო ინფორმაცია:* ფილიალი აგროვებს და ამუშავებს საკონტაქტო ინფორმაციას, როგორიცაა საფოსტო მისამართები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და ტელეფონის ნომრები;

3.3 *აკადემიური ჩანაწერები:* ეს მოიცავს ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების აკადემიურ ისტორიასთან, მათ შორის, მიღებული შეფასებები, ქულები, აკადემიური პროგრესი;

3.4 *ჩარიცხვის პროცესში მიღებული ინფორმაცია:* ფილიალი აგროვებს მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია მისაღებ პროცესებთან, მათ შორის განაცხადის ფორმები, გამოცდის შედეგად მიღებული ქულები, გასაუბრების შედეგები, სარეკომენდაციო წერილები და პირადი განცხადებები;

3.5 *ფინანსური ინფორმაცია:* ეს მოიცავს დეტალებს, რომლებიც დაკავშირებულია სწავლის საფასურთან, სტიპენდიებთან, ფინანსურ დახმარებასთან, სტუდენტურ სესხებთან და ფინანსურ ჩანაწერებთან;

3.6 *ინფორმაცია დასაქმების შესახებ:* ფილიალი აგროვებს მონაცემებს პერსონალის დასაქმებასთან დაკავშირებით, მათ შორის სამუშაო განაცხადები, სამოტივაციო წერილები, კონტრაქტები, სახელფასო ინფორმაცია, საქმიანობის შეფასება და დისციპლინური ჩანაწერები;

3.7 *ჯანმრთელობა და სამედიცინო ინფორმაცია:* ფილიალი აგროვებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებს აკადემიური მიზნებისთვის, მათ შორის, სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის ხარისხიანი განათლების შეთავაზების უზრუნველსაყოფად;

3.8 *კვლევის მონაცემები:* ფილიალში კვლევითი პროექტებისთვის პერსონალური მონაცემები შეიძლება შეგროვდეს როგორც კვლევითი პროექტების ნაწილი;

3.9 *მომხმარებლის აქტივობის მონაცემები:* ფილიალმა შეიძლება შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდების მიერ საუნივერსიტეტო სისტემებისა და სერვისების, როგორიცაა შესვლის ჩანაწერები, ბიბლიოთეკით სარგებლობის ისტორია და ონლაინ სასწავლო პლატფორმებზე წვდომა.

4. ფილიალი პასუხისმგებლობით ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასა და კონფიდენციალურობის საუკეთესო პრაქტიკასთან იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა.

მუხლი 5. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. ფილიალი პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

1.1 მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;

1.2 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;

1.3 მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

1.4 მონაცემთა დამუშავება საჭიროა ფილიალის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

1.5 კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;

1.6 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

2. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ფილიალი ამუშავებს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

2.1 განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;

2.2 განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით;

2.3 ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების, აგრეთვე საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში მონაწილე პირების მიერ (მათ შორის, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებასთან.

3. ფილიალი უფლებამოსილია მონაცემები დაამუშავოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობით იმ შემთხვევაში, თუ თანხმობა გაცემულია ინფორმაციის სრულფასოვნად მიღების შემდეგ მონაცემთა წინასწარ განსაზღვრული და კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე.

თავი III. მონაცემთა სუბიექტები და მონაცემთა მიღების წყაროები

მუხლი 6. მონაცემთა სუბიექტები

1. ფილიალი ამუშავებს შემდეგი პირების პერსონალურ მონაცემებს:

1.1 სტუდენტები, მათ შორის, მომავალი სტუდენტები;

1.2 თანამშრომლები, მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალი;

1.3 მართვის ორგანოების და საბჭოების წევრები;

1.4 საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში მონაწილე სხვა პირები;

1.5 კამპუსის ტერიტორიაზე ვიდეოკონტროლის არეალში მყოფი პირები.

2. ფილიალი ამუშავებს აგრეთვე ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირების კანონიერი წარმომადგენლების შესახებ ინფორმაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 7. მონაცემთა მიღების წყაროები

1. ფილიალი პერსონალურ მონაცემებს იღებს შემდეგი წყაროებიდან:

1.1 მონაცემთა სუბიექტი და მისი კანონიერი წარმომადგენელი;

1.2 ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები, რომელიც მოწოდებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ;

1.3 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ;

1.4 აბიტურიეტთა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მოზიდვის მიზნით ჩატარებული აქტივობების შედეგად მიღებული ინფორმაცია;

1.5 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ვიდეოკონტროლის განხორციელებისას მიღებული მონაცემები;

1.6 საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში ჩართული/მარეგულირებელი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წყაროების გარდა, ფილიალი პერსონალურ მონაცემებს იღებს ნებისმიერი სხვა კანონიერი წყაროდან ამ წესით დადგენილი მიზნების მიღწევის და ვალდებულებების შესრულებისთვის.

მუხლი 8. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის განსაკუთრებული წესი

1. აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით, ფილიალი ატარებს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო კამპანიას, მათ შორის, შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებისთვის ფილიალის საგანმანათლებლო პროგრამებისა და პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

2. თუ პირი, რომელიც დაინტერესებულია ფილიალში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვით, არის არასრულწლოვანი, მის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

3. ფილიალი იღებს გონივრულ და ადეკვატურ ზომებს 16 წლამდე არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის დასადასტურებლად.

თავი IV. ვიდეომონიტორინგი

მუხლი 9. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

1. ფილიალში ვიდეომონიტორინგის მიზანია სტუდენტების, პერსონალის და ვიზიტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე ფილიალის ქონების დაცვა.
2. ამ თავში მითითებული რეგულაციები ვრცელდება ფილიალის კამპუსის ტერიტორიის ყველა ზონაზე, სადაც ფუნქციონირებს ვიდეომონიტორინგი.
3. კამპუსის ტერიტორიაზე ვიდეომონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოფილია ფილიალსა და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმებების, მათ შორის, Master Service Agreement-ის შესაბამისად.

მუხლი 10. ვიდეომონიტორინგის სამართლებრივი საფუძვლები

1. პერსონალური მონაცემების დამუშავება ვიდეომონიტორინგის საშუალებით ხდება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.
2. ვიდეომონიტორინგის ლეგიტიმური ინტერესია ფილიალის მისწრაფება შეინარჩუნოს უსაფრთხო და დაცული სასწავლო გარემო.

მუხლი 11. გამჭვირვალობა და შეტყობინება

1. იმ ადგილებში, სადაც ფუნქციონირებს ვიდეომონიტორინგი, განთავსებულია ვიდეომონიტორინგის ნიშნები, რომლებიც აცნობებენ კამპუსის ტერიტორიაზე მყოფ პირებს კამერების არსებობის შესახებ.
2. ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ საინფორმაციო ნიშანი შეიცავს შესაბამის წარწერას, მარტივად აღქმად გამოსახულებას ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებასა და მის საკონტაქტო მონაცემებს.

3. ვიდეომონიტორინგი შემოიფარგლება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ეს აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად.
4. კამერების პოზიციონირების დროს გათვალისწინებულია ამ თავით დადგენილი ვიდეომონიტორინგის მიზნები.
5. დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში და ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს.

მუხლი 12. ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა

1. ვიდეოჩანაწერები ინახება ერთი თვის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უფრო ხანგრძლივი შენახვის ვადაა საჭირო კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებებიდან ან სასამართლო პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე.
2. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ შემდეგ, ხდება ჩანაწერების წაშლა ან გადაწერა.

მუხლი 13. ვიდეოჩანაწერებზე წვდომა და უსაფრთხოება

1. ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლება აქვს მხოლოდ ავტორიზებულ პერსონალს.
2. ფილიალი ახორხიელებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს ვიდეო მონაცემების არასანქცირებული წვდომისგან, ცვლილების, გამჟღავნების ან განადგურებისგან დასაცავად.

თავი V. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მუხლი 14. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ფილიალს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

1.1 მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

1.2 მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;

1.3 მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

1.4 მონაცემთა სუბიექტის ამ წესითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;

1.5 მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს საგანმანათლებლო მიზნებისთვის;

1.6 მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

1.7 ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მიიღოს მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც ფილიალი აცნობებს მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ.

3. ფილიალი უფლებამოსილია მონაცემთა სუბიექტს საჭიროებისამებრ მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თავად აირჩიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმა. ამასთანავე, თუ მონაცემთა სუბიექტი სხვა ფორმით არ მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას, მას ინფორმაცია მიეწოდება იმავე ფორმით, რომლითაც მოხდა ინფორმაციის მოთხოვნა.

მუხლი 15. მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ფილიალში გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის:

1.1 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური;

1.2 ფილიალის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც ფილიალი მონაცემთა სუბიექტს აცნობებს დაუყოვნებლივ.

4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები იმ ფორმით, რომლითაც დაცულია ფილიალში.

მუხლი 16. მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ფილიალს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.
2. მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი) მონაცემები უნდა გასწორდეს, განახლდეს ან/და შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.
3. თუ ფილიალი მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან/და არასრულია, მან გონივრულ ვადაში უნდა გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები და მონაცემთა გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ აცნობოს მონაცემთა სუბიექტს.
4. ფილიალს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების ვალდებულება არ წარმოეშობა, თუ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება ტექნიკური შეცდომის გასწორებას/აღმოფხვრას უკავშირდება.
5. თუ არსებობს ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შესრულებას, ფილიალი ცვლილების განხორციელების შესახებ ინფორმაციას მონაცემთა სუბიექტს აწვდის მასთან პირველი კომუნიკაციის განხორციელებისთანავე.
6. ფილიალი ვალდებულია ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირები შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებული არიან გონივრულ ვადაში გაასწორონ, განაახლონ ან/და შეავსონ მონაცემები.

მუხლი 17. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ფილიალს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) უნდა შეწყდეს მონაცემთა დამუშავება ან/და მონაცემები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს ან მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.

3. ფილიალს უფლება აქვს, უარი თქვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:

3.1 არსებობს მონაცემთა დამუშავების ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 ან მე-6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;

3.2 მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით;

3.3 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების უფლების განსახორციელებლად;

3.4 მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას ფილიალს ეკისრება შესაბამისი საფუძვლის დასაბუთების ვალდებულება.

5. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაცია მიიღოს შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

6. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მის შესახებ მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით დამუშავების შემთხვევაში ფილიალს მოსთხოვოს მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან/და მონაცემთა ასლების ან მონაცემებთან დამაკავშირებელი ნებისმიერი ინტერნეტბმულის წაშლა.

7. ფილიალი ვალდებულია ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.

მუხლი 18. მონაცემთა დაბლოკვის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ფილიალს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

1.1 მონაცემთა სუბიექტი სადავოდ ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;

1.2 ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;

1.3 მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა, მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად;

1.4 მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;

1.5 არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

2. ფილიალი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში დაბლოკოს მონაცემები ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა დაბლოკვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

2.1 ფილიალის მიერ კანონით ან/და კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

2.2 კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით ფილიალისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას;

2.3 ფილიალის ან მესამე პირის ლეგიტიმურ ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის, განსაკუთრებით არასრულწლოვანის, უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.

3. მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ფილიალი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მონაცემთა განბლოკვის შესახებ, თუ არსებობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

4. მონაცემები უნდა დაიბლოკოს მათი დაბლოკვის მიზეზის არსებობის ვადით და ამ ვადის განმავლობაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება თან უნდა ერთოდეს შესაბამის მონაცემებს.

5. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა დაბლოკვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ან მონაცემთა დაბლოკვაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღისა.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მონაცემთა დაბლოკვის შემთხვევაში მონაცემები, გარდა მათი შენახვისა, შესაძლოა სხვაგვარად დამუშავდეს შემდეგ შემთხვევებში:

6.1 მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;

6.2 სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასასაბუთებლად;

6.3 ფილიალის ან მესამე პირის ინტერესების დასაცავად;

6.4 კანონის შესაბამისად, საჯარო ინტერესის დასაცავად.

მუხლი 19. მონაცემთა გადატანის უფლება

წინამდებარე წესით და კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ფილიალისაგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

მუხლი 20. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება:

1.1 ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას;

1.2 აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და ფილიალს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად;

1.3 გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

2. მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნისას ფილიალი იღებს სათანადო ზომებს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებისა და ლეგიტიმური

ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „1.3“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მონაცემთა სუბიექტისთვის მისი მოსაზრების გამოთქმის და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გზით.

მუხლი 21. თანხმობის გამოხმობის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.
2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა.
3. მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს, ფილიალს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

მუხლი 22. გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

თავი VI. ფილიალის ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტების მიმართ

მუხლი 23. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ვალდებულება

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, ფილიალი ვალდებულია დადგენილი წესით უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის წინამდებარე წესით და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის III თავით განსაზღვრული უფლებების განხორციელება, მათ შორის, მიიღოს ყველა ზომა დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დემონსტრირების მიზნით.

მუხლი 24. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში

1. მონაცემების უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებისას ფილიალი ვალდებულია მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

1.1 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;

1.2 მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;

1.3 მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობის შესახებ, ხოლო თუ მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა – მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

1.4 ფილიალის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, თუ მონაცემები მუშავდება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

1.5 ფილიალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესაბამისი თანამშრომლის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

1.6 მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.7 მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ ფილიალი გეგმავს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას;

1.8 მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

1.9 მონაცემთა სუბიექტის წინამდებარე წესით და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-III თავით გათვალისწინებული უფლებების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ამ ინფორმაციას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი არ მოქმედებს, თუ სპეციალური კანონმდებლობა ადგენს მონაცემთა სუბიექტისგან მონაცემების შეგროვებისას მისი ინფორმირების განსხვავებულ წესს და ეს წესი არ იწვევს მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას. ამ შემთხვევაში სუბიექტის წერილობითი მოთხოვნის არსებობისას ფილიალი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, თუ არ არსებობს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე

მუხლით და წინამდებარე წესით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის საფუძვლები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

5. ფილიალი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს, განსაკუთრებით – თუ მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანია, მიაწოდოს მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე. ამ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება ზეპირად ან წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტი ინფორმაციის წერილობით მიღებას ითხოვს.

მუხლი 25. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოს მისგან არ ხდება

1. თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ ხდება, ფილიალი მონაცემთა სუბიექტს აწვდის წინამდებარე წესის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციას, აგრეთვე აცნობებს, მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება და ამ მონაცემთა მოპოვების წყაროს, მათ შორის, მოპოვებულ იქნა თუ არა მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ფილიალი მონაცემთა სუბიექტს აწვდის გონივრულ ვადაში, ან, თუ მონაცემები გამოიყენება მონაცემთა სუბიექტთან დასაკავშირებლად, მასთან პირველი კომუნიკაციისთანავე, ხოლო თუ დაგეგმილია მონაცემთა გამჟღავნება, – მონაცემთა გამჟღავნებამდე, მაგრამ მონაცემთა მოპოვებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუკი არ არსებობს კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილი უფლების შეზღუდვის საფუძვლები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ფილიალს არ ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ:

3.1 მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
3.2 მონაცემთა შეგროვება ან გამჟღავნება დადგენილია კანონით ან საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;
3.3 ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას ან ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ან შეუძლებელს გახდის მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის შესრულებას. ამ შემთხვევებში ფილიალი იღებს სათანადო ზომებს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მათ შორის, მონაცემების მოპოვების შესახებ ზოგადი ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით განთავსებას.

თავი VII. მონაცემთა უსაფრთხოება

მუხლი 26. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება

1. ფილიალი იღებს სათანადო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მონაცემთა კანონმდებლობით დადგენილი წესით დამუშავების მიზნით და უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის დადასტურებას.
2. ფილიალი იღებს მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.
3. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების განსაზღვრისას ფილიალი ითვალისწინებს მონაცემთა კატეგორიებს, მოცულობას, მონაცემთა დამუშავების მიზანს, ფორმას, საშუალებებს და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეებს, აგრეთვე პერიოდულად აფასებს მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული

ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობას და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ადეკვატური ზომების მიღებას.

4. ფილიალი უზრუნველყოფს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვას. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას ფილიალი უზრუნველყოფს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვას.

5. ფილიალის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან რომელსაც აქვს მონაცემებზე წვდომა, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

6. ფილიალი თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად განსაზღვრავს მათი მონაცემებზე წვდომის ფარგლებს და ახორციელებს ადეკვატურ ღონისძიებებს თანამშრომელთა მიერ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტების თავიდან ასაცილებლად, გამოსავლენად და აღსაკვეთად, მათ შორის, უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებას მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხების შესახებ.

მუხლი 27. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის შეტყობინება

1. ფილიალი უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციის აღრიცხვას:

1.1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;

1.2 მონაცემთა დამუშავების მიზნები;

1.3 მონაცემთა სუბიექტები და მონაცემთა კატეგორიები;

1.4 მონაცემთა მიმღების კატეგორიები;

1.5 მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების თაობაზე, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.6 მონაცემთა შენახვის ვადების შესახებ, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, მათი შენახვის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

1.7 მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ზოგადი აღწერა;

1.8 ინციდენტების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. ფილიალი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას შესაბამისი მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, აწვდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

მუხლი 28. ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვი შეტყობინების ვალდებულება

1. ფილიალი აღრიცხავს ინციდენტს, დამდგარ შედეგს, მიღებულ ზომებს და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად ატყობინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.1 ინციდენტის გარემოებების, სახისა და დროის შესახებ;

2.2 ინციდენტის შედეგად უნებართვოდ გამჟღავნებული, დაზიანებული, წაშლილი, განადგურებული, მოპოვებული, დაკარგული, შეცვლილი მონაცემების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის, აგრეთვე იმ მონაცემთა სუბიექტების სავარაუდო

კატეგორიებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ინციდენტის შედეგად შეექმნათ საფრთხე;

2.3 ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო ზიანის, მისი შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

2.4 იმის შესახებ, გეგმავს თუ არა ფილიალი, ინციდენტის შესახებ შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რა ვადაში;

2.5 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემებს.

მუხლი 29. ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება

1. თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ფილიალი ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობებს მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის შესახებ და მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

1.1 ინციდენტისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების ზოგადი აღწერა;

1.2 ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო/დამდგარი ზიანის, მის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

1.3 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემები.

2. თუ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება არაპროპორციულად დიდ ხარჯებს ან ძალისხმევას მოითხოვს, ფილიალი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ავრცელებს საჯაროდ ან სხვა ისეთი ფორმით, რომელიც ჯეროვნად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება არ წარმოიშობა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სათანადო გარემოებების არსებობისას.

მუხლი 30. ფილიალის ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტისაგან თანხმობის მიღების და მის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში

1. მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის ისეთი დოკუმენტით მიღების შემთხვევაში, რომელიც ამავდროულად ეხება სხვა საკითხებს, ფილიალი უზრუნველყოფს ამ დოკუმენტში თანხმობის შესახებ ტექსტის ფორმულირებას მკაფიო, მარტივი და გასაგები ენით. თანხმობის ტექსტი გამოიყოფა დოკუმენტის სხვა ნაწილებისგან.
2. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა შესაძლოა მიღებული იყოს ხელშეკრულების ან საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში როგორც ხელშეკრულების ან საგანმანათლებლო მომსახურების აუცილებელი პირობა.
3. მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღებამდე ფილიალი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას მის მიერ თანხმობის გამოხმობის უფლების შესახებ.
4. ფილიალი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება და დამუშავებული მონაცემები წაშალოს ან გაანადგუროს, თუ ამ წესით და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ ვრცელდება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართელოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე.
6. მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.
7. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე ან იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემთა სუბიექტისთვის წარმოშობს სამართლებრივ, ფინანსურ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, ფილიალი ვალდებულია მონაცემთა

სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შედეგების შესახებ.

8. ფილიალი უზრუნველყოფს თანხმობის გამოხმობის უსასყიდლო, მარტივ და ხელმისაწვდომ მექანიზმს, მათ შორის, უზრუნველყოფს თანხმობის გამოხმობის შესაძლებლობა იმავე ფორმით, რომლითაც გაიცა თანხმობა.

თავი VIII. მონაცემებზე წვდომა

მუხლი 31. მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები

1. ფილიალის მართვის ორგანოებს და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს წვდომა აქვთ მხოლოდ ისეთ პერსონალურ მონაცემებზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფუნქციებისა და მოვალეობების ჯეროვანი და სრულფასოვანი შესრულებისთვის.
2. სტუდენტების შესახებ მონაცემები აღირიცხება ელექტრონულ პროგრამაში.
3. ელექტრონული პროგრამით ხორციელდება:

3.1 აპლიკაციების მართვა: აპლიკაციების შემუშავება, წარდგენა და განხილვა;

3.2 კომუნიკაცია: პროგრამა უზრუნველყოფს აპლიკანტებთან კომუნიკაციას იმეილის, ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით თანმიმდევრული და პერსონალიზებული ინტერაქციის მიზნით;

3.3 ღონისძიებებისა და ინტერვიუირების თარიღების ჩანიშვნა და მართვა: პლატფორმა კანდიდატებსა და თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ჩანიშნონ ვიზიტები, გასაუბრებები და სხვა ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს აპლიკანტთა დადებით და მოქნილ გამოცდილებას ფილიალთან ურთიერთობაში;

3.4 სააპლიკაციო დოკუმენტების მართვა: პლატფორმის მეშვეობით შესაძლებელია ისეთი დოკუმენტების ატვირთვა, შენახვა და განხილვა, რაც დაკავშირებულია

აპლიკაციის პროცესთან. ასეთი დოკუმენტებია, მათ შორის, ტრანსკრიპტები, რეკომენდაციის წერილები, სამოტივაციო განაცხადები.

4. ფილიალში დანერგილია სხვადასხვა ელექტრონული პროგრამა პერსონალურ მონაცემთა მართვის მიზნით.

5. ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ხორციელდება სასწავლო კურსების და სტუდენტთა რეგისტრაციის პროცესის მართვა, ფინანსური აღრიცხვა, აგრეთვე პერსონალთან და თანამშრომლებთან დაკავშირებული ინფორმაციის ადმინისტრირება.

6. EMIS პლატფორმის მეშვეობით ფილიალი უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვას, ფილიალის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, აგრეთვე მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციის აღრიცხვას.

7. ელექტრონულ პლატფორმებზე და შესაბამის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება აქვს:

7.1 გენერალური ასამბლეის წევრს;

7.2 რექტორს;

7.3 რექტორის მოადგილეს;

7.4 აკადემიური საბჭოს წევრს;

7.5 სტუდენტთა მიღების კონსულტანტს;

7.6 საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერს

8. EMIS პლატფორმაზე წვდომის უფლება აქვს აქვს:

8.1 ადმინისტრაციის უფროსს;

8.2 საქმისწარმოების მენეჯერს.

9. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონკრეტული სასწავლო კურსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის მიზნით წვდომა აქვს შესაბამის სტუდენტთა პერსონალურ მონაცემებსა და ელექტრონულ ბაზებზე.

10. რექტორი უფლებამოსილია მონაცემებზე წვდომის უფლება მიანიჭოს ფილიალის თანამშრომელს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების სრულფასოვნად და ჯეროვნად შესრულების მიზნით.

მუხლი 32. თანამშრომელთა შეზღუდული უფლებამოსილებები მონაცემთა დამუშავებისას

1. ფილიალის თანამშრომელი ვალდებულია:

1.1 დაამუშავოს მხოლოდ ის მონაცემი და მხოლოდ იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც აუცილებელია მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად;

1.2 დაიცვას მონაცემთა კონფიდენციალურობა, არ დაუშვას მისი გამჟღავნება და არ გამოიყენოს სხვა, არასამსახურებრივი მიზნებისთვის;

1.3 არ დატოვოს მონაცემები უყურადღებოდ, რის შედეგადაც შესაძლოა სხვა პირმა მოიპოვოს წვდომა მონაცემებზე;

1.4 ფილიალის ელექტრონული რესრუსების წვდომისას გამოიყენოს მხოლოდ მისთვის განკუთვნილი მომხმარებლის სახელი და პაროლი, აგრეთვე უზრუნველყოს პაროლის რეკომენდირებული სიხშირით შეცვლა და განახლება;

1.5 მონაცემთა სამსახურებრივი მიზნით გაზიარების შემთხვევაში ისარგებლოს მხოლოდ ფილიალის ოფიციალური ელექტრონული რესურსებით.

თავი IX. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

მუხლი 33. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. ვებსტერ უნივერსიტეტის გლობალურ ქსელში, მათ შორის, ფილიალში პერსონალურ მონაცემთა დაცვას უზრუნველყოფს ვებსტერ უნივერსიტეტის GRC-ის (რისკებისა და შესაბამისობის ოფისის) და Office of Privacy (კონფიდენციალურობის ოფისი).

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ფილიალში იქმნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობა.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი საქმიანობას ახორციელებს GRC-ის (რისკებისა და შესაბამისობის ოფისის) და Office of Privacy-ს (კონფიდენციალურობის ოფისის) პოლიტიკის და მითითებების შესაბამისად.

მუხლი 34. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებები და მოვალეობები

1. ფილიალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:

1.1 მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, ფილიალის და ფილიალის თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;

1.2 მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციების და დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე ფილიალის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;

1.3 მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;

1.4 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;

1.5 მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

1.6 ფილიალის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია რექტორის, GRC-ის (რისკებისა და შესაბამისობის ოფისის) და Office of Privacy (კონფიდენციალურობის ოფისი) მიმართ.

3. ფილიალი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობას მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოფს მას შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას საქმიანობის განხორციელებისას.

4. ფილიალი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნიდან ან განსაზღვრიდან, აგრეთვე მისი შეცვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მის ვინაობას და საკონტაქტო ინფორმაციას ატყობინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. ფილიალი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობას და საკონტაქტო ინფორმაციას პროაქტიულად აქვეყნებს ვებგვერდზე.

5. ფილიალი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დროებითი არყოლისას ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურავს სხვა პირს.

მუხლი 35. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვა

1. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, სტუდენტების, თანამშრომლების, საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში მონაწილე, აგრეთვე სხვა პირების განცხადებებსა და საჩივრებს განიხილავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე წესით და ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

2. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც საკითხს განიხილავს და

გადაწყვეტილებას იღებს საკითხის სირთულის გათვალისწინებით, გონივრულ ვადაში, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესით ცალკეულ შემთხვევებში დადგენილი ვადების ფარგლებში.

3. ფილიალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განცხადებაში ან საჩივარში მითითებული განსახილველი საკითხის სირთულიდან გამომდინარე უფლებამოსილია კონსულტაცია გაიაროს ვებსტერის უნივერსიტეტის Office of Privacy-სთან (კონფიდენციალურობის ოფისი) და საკითხი გადაწყვიტოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებების სრულფასოვნად შესწავლისა და შეფასების შემდეგ.

თავი X.მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება

მუხლი 36. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების წესი

1. ფილიალი წინასწარ ახორციელებს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებას, მათ შორის, მონაცემთა კატეგორიების, მონაცემთა მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ, თუ მონაცემთა დამუშავებისას ახალი ტექნოლოგიების, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე.

2. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებით დგინდება ფილიალის პირობების შესაბამისობა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან. ის აგრეთვე ხელს უწყობს რისკების ადრეულ გამოვლენას და რისკების დროულ და სათანადო შემცირებას.

3. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებისას იქმნება წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

3.1 მონაცემთა კატეგორიის, მათი დამუშავების მიზნების, პროპორციულობის, პროცესისა და საფუძვლების აღწერას;

3.2 ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შესაძლო საფრთხეების შეფასებას და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების აღწერას.

4. მონაცემთა დამუშავების პროცესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში ფილიალი ვალდებულია განაახლოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი. ფილიალი მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტს ინახავს მონაცემთა დამუშავების მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის შემთხვევაში – არანაკლებ 1 წლის ვადით.

5. თუ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების შედეგად გამოვლინდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი საფრთხე, ფილიალი იღებს ყველა აუცილებელი ზომას საფრთხეების არსებითად შესამცირებლად და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის მიზნით მიმართავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და წარუდგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინფორმაციას. თუ დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომებით შეუძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხის არსებითად შემცირება, მონაცემთა დამუშავება არ უნდა განხორციელდეს.

თავი XI. პასუხისმგებლობა დადგენილი რეგულაციების დარღვევისთვის

მუხლი 37. სტუდენტის პასუხისმგებლობა დადგენილი რეგულაციების დარღვევისთვის

1. ფილიალის სტუდენტის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესით დადგენილი რეგულაციების დარღვევა განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და მიიჩნევა ფილიალში დადგენილი ეთიკის ნორმებთან შეუსაბამოდ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ შემთხვევაში სტუდენტის მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება და შესაძლოა გამოყენებულ იქნას ფილიალის

შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, მათ შორის, სტუდენტის გარიცხვა.

3. სტუდენტისთვის შეფარდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს დადგენილი წესის დარღვევის, დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი.

მუხლი 38. თანამშრომლის პასუხისმგებლობა დადგენილი რეგულაციების დარღვევისთვის

1. ფილიალის თანამშრომლის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესით დადგენილი რეგულაციების დარღვევა განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და მიიჩნევა ფილიალში დადგენილი ეთიკის ნორმებთან შეუსაბამოდ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ შემთხვევაში თანამშრომლის მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება და შესაძლოა გამოყენებულ იქნას ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, მათ შორის, გათავისუფლება (ხელშეკრულების შეწყვეტა).

3. თანამშრომლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს დადგენილი წესის დარღვევის, დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი.

თავი XII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 39. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.